

შაბათი, 12 სექტემბერი 1909 წ.

მომავალი

შაბათი, 12 სექტემბერი 1909 წ.

სოციალ-დემოკრატიული საპარტიო ცენტრის ბიულეტენი

„მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-საბათისა და დღეებისა

გაზაფხულის ღირსი: როგორც თბილისში ისე თფილისის გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 სექტემბერიდან წლის ბოლომდე თფილისში 3 მან. თფილისის გარეთ 3 მან. 20 კ. თფილისი: თფილისში 80 კ., თფილისის გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. იდრესის გამოცემა ღირს 40 კაპ. (შეიღებება მარკეტითაც)

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ.; უკანასკნელზე—10 კ.; სამკვლელო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი, ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოწერულ წერილებს არ ბეჭდავს. დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ ეისრულებს.

რედაქციის ადრესი:

რუსის ქუჩა, სახლი № 3, მეორე სართულში.

ფულის გამოხატვაში ადრესი:

Тифлисъ, тип. „Сорапанъ“, Калистрату Конст. Цуладзе.

ეროდინე კალანდამისა, კაპიტო კალანდამე და იაშა კალანდამე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ქმრისას, მეორე მამისას და მესამე ძმისას

ერემია სოგრატის ძე კალანდამისას.

გარდაცვალა ქ. თფილისში.

(1—1)

ქვრივი ნატალია ანტონის ასული ურუშაძისა, შვილები: ვასო, სერგო, ალექსანდრე, ნინა, მარო, ვერა, ანეტა, ფატუმა და ელენა. სიძენი: როდეს-ტენსკი და სპერანსკი დიდს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ლუკა ნიკოლოზის ძის ურუშაძის

გარდაცვალდა. დაკრძალვა დანიშნულია 13 ენკენისთვის ნაშუადღევს 4 საათზე ქ. ოზურგეთში.

(2—1)

ქართული თეატრი

შაბათს, 12 სექტემბერს ქართული დრამატული საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ლ ა ლ ა ტ ი

დრამა-ლეგენდა 5 მოქ. ალ. სუმბათაშვილისა, თარგ. გ. ყიფშიძისა.

ამ წარმოდგენაში დანიშნულია ხუთი დებიუტი.

შინაბი	—	—	ქ-ნი ჩიხრაძე
ოთარბეგი	—	—	ბ-ნი ქვიციანიძე
სოლომონ-ხანი	—	—	ბ-ნი შარაშიძე
დათო	—	—	ბ. ბახტაძე
ყარა-იუსუფი	—	—	ბ. ფურცხვანიძე

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 ნახევარ საათზე.

რევისორი გ. აბაშიძე.

მკერვალი ქალი

ვიყვან მოსწავლეებს განურჩევლათ ხნოვანებისა, ვასწავლი ჭრასა და ხატვას სამი თვის განმავლობაში.

ფასები ყველა სათვის ხელმისაწვდომია.

დუშეთის ქუჩა, № 7.

ნათიკი ვეკილი
სერგეი დ. ჯაფარიძე
ქუთაისიდან გადავიდა თფილისში

ბროსის ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11.

(სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს)

ივ. პარსუნოვი
გადვიდა ბელინსკის ქუჩ. № 18.

კბილის ექიმი
ს. ვაშაყმაძე

აბასთუმანიდან დაბრუნდა. ავთომყოფებს ლეზულობს ახალ ბინაზე დილით: 9—2 სათ. საღამოს: 5—7 სათ. ვერის დაღმართი, სახლი № 15.

კბილის ექიმი
ი. შ. ჯანტურია

იღებს ავთ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოს 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავკალის № 71 (კიროსი ქუჩის ახლოს)

ქართული სემსია

თფილისის სახალხო უნივერსიტეტისა ამით აცხადებს, რომ 15 სექტემბერიდან იწყება სწავლა აღნიშნულ სექციის სკოლაში გაფართოებული პროგრამით. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწვიონ ყოველ დღე საღამომობით (გარდა კვირა დღისა) 6—8 საათამდე იმავე სკოლაში; 1, გოგოლის ქუჩა № 42, ვოგლის ახლო 2) ვერაზე ოლგის ქუჩა № 32, 3) ავლაბარში, ავლაბრის ქუჩა ქალანთაროვის სახლი. სწავლის ფასი სამ თვეში ერთი მანეთი. 5—4

С. и В. Грязновы готовят учебники въ средня учебныя заведенія.

Имѣются группы, готовящихся въ 4, 5 и 6 классъ гимназій.

Адресъ: Вера, Измайловскій пер. № 6, въ верхнемъ этажѣ кв. 8. (10—9)

დ. მთაბრუნის თ. მთაბრუნის

წიგნის მალაზიაში დაბეჭდულია დიდალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საეკონომიკო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახისა და სკოლაში საკითხავი წიგნი

„გუთანი“

შედგენილი ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საჯვალეო-სკოლას და სხვაწესდებებს და წიგნის მალაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტით.

(თვ. 0—28)

გაიხსნა ახალი

თფილისის

კერამ. სამუშაო

ღია ყოველდღე მოსაირავე ავთომყოფათვის. ვაგზლის ქ. № 8; ს. ენფინჯიანისა (ტელეფონი 895).

მ. ბ. ზ. ფედოროვი: ყოველ დღე გარდა ითხისა და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბეჭდვებისა.

მ. ბ. ზ. დამბაშიძე: ყოველ დღე კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბეჭდვ. ავთომყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

მ. ბ. ა. ბობოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავთომყ.

მ. ბ. მ. მკარავი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

მ. ბ. ნ. დიხაძე: ყოველ დღე 11/1—12/1 ს.; სიღვი, გენ. და კანის ავთომყ.

მ. ბ. მ. ნიქოლაძე: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქორწინ. ავთომყ.

მ. ბ. გ. გომარაძე: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბეჭდვ. ავთომყ.

მ. ბ. ვ. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღე გარდა 2—2/1 ს. შინაგან ავთომყ. მიკროსკოპული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიება განსვენად.

ფსხები რეგისტრაციის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური ავსტოფილება 80 საწოლით. 100—57

თფილისი, 12 სექტემბერი.

წელს ოფიციალური რუსეთი იუბილეებს ღვთისწავლობს: იენისში ვადახლო იქნა იუბილეი პოლტავის ბრძოლის 200 წლის თავის შესრულების, აგვისტოში აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის 50 წლის თავის და სექტემბრის ხუთს 100 წლის თავი ფინლიანდის რუსეთთან შეერთებისა. ყველა ამ დღეისწავლობის გადამხდელია ჯარი და მთავრობა, ხალხი, რუსეთის მოქალაქენი, არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ და თამამთ შეიძლება ითქვას, რომ საერთო ნაციონალური ხასიათი არც ერთ დღესწავლას არ ჰქონია. პოლტავის დღესწავლას მონაწილეობა მიიღეს შავრაზმელებმა, მაგრამ ამ დღიდან დაიწყო მათი თავდაპირა დაშვება და მას აქეთ სულ უფრო და უფრო უფსკრულისკენ მიეკანებოდა და ხვალ თუ ზეგ საფიქრელია, მათი მოგონება-და დარჩება, მეტი არაფერი; შავრაზმელებს გარდა თითო-ორიოლა ქალაქების და აზნაურობის წარმომადგენლებისა, არავინ დასწრებია. ამაზე უფრო მკრთალათ ჩაიბრა აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის დღე. აქაც ჯარის მეტი არავინ დასწრებია. ამნაირივე ხასიათი მიიღო სექტემბერში, ფინლიანდის შემოერთებიდან 100 წლის დღემ. ფინლიანდელები ამ დღეს მგლოვიარენი იყვენ, მხოლოდ მხიარულობდა რუსეთის ჯარი და შავრაზმელები ვაზეთები. ფინლიანდელებს გულს უკლავს მწარე მომავლის წარმოდგენა ერთი მხრით და მეორე მხრით, მათ დღესწავლათ მიანჩათ არა 5 სექტემბერი 1809 წელს, როდესაც შევიდა ვადახლო ფინლიანდია რუსეთს, არამედ ქ. ბორგოში სემის მოწვევის დღე—16 მარტი 1809 წელი, როცა აღექვანდრე 1-ლმა თვითონ გახსნა სემი და რუსულ ენაზე შემდეგი წააკითხინა: „უზენაესის ნებით დაგიფლეთ რა დიდი სამთავრო ფინ-

ლიანდისა, ჩვენ საკეთილოთ დავინახეთ ხელახლად დავამტკიცეთ და დავადასტურეთ რელიგია, ძირითადი კანონები და უფლებათ-უზიარატეობა, რომლითაც სარგებლობდა თითოეული წოდება ცალკე და ყველა მცხოვრებნი დღიდან პატარაანა ამ სამთავროსა კონსტიტუციის ძალით, ჩვენ სიტყვას ვდებთ დარჩენ ესენი დაურღვევლათ და სრულ ძალაში; რის დასამოწმებლათ ვინებეთ ამ გრამოტის საკუთარი ხელის მოწერით დამტკიცება.“

ამის ძალით ფინლიანდის კონსტიტუცია ხელუხლებელი დარჩა ბობრიკოვის რეჟიმის გამეფებამდე, მაშინ კი, რამდენიმეთ ის შეკვეცილ იქნა, მაგრამ ფინლიანდელების არა ჩვეულებრივი ენერჯის და ბრძოლის მეოხებით და მეორე მხრით, რუსეთის განმთავისუფლებელმა მოძრაობამ ბობრიკოვის რეჟიმის დროს წაღებული უფლებები ცვლად დაბრუნებულ იქნა 1904 წელს და ფინლიანდისთვის გამოცხადებული იქნა დემოკრატიული კონსტიტუცია. რედაქციამ, როგორც მოგვხსენებთ, გაიმარჯვა ყველგან რუსეთში, ახლა ჯერი მიდგა ფინლიანდიაზე. ძნელია იმის თქმა, როდის და ან სად შეჩერდება ფინლიანდის უფლებების დარღვევაში გააფთრებული რედაქცია, მაგრამ თუ ის მოიყვანა სისრულეში, რაც უკვე განზრახულია, ფინლიანდის ავტონომიიდან მარტო ნაგლეგები და დარჩება. „რუსეთი ვე.“ სწერს: „განსაკუთრებულმა სათათბირომ ფინლიანდის საქმის შესახებ წარადგინა რუსეთ-ფინლიანდის შერეულ კომისიაში კანონპროექტი, რომლის ძალითაც საიმპერია მნიშვნელობის კანონები უნდა გამოიკვს საერთო წესით. ე. ი. უნდა გაიაროს სახელმწიფო დეპარტამენტი და სახელმწიფო საბჭოში. მხოლოდ იმ კანონპროექტების შესახებ, რომლებიც ცვლიან ფინლიანდის სემის კომპეტენციას ან აუქმებენ სემის მიერ გამოცემულ კანონებს, უნდა შეკითხულ იქნეს სემი, მაგრამ უკანასკნელის აზრს მხოლოდ სათათბირო ხმის მნიშვნელობა ექნება და სემმა თავისი აზრი თუ არ გამოსთქვა, სახელმწიფო დეპარტამენტი უნდა შეიტანებდეს უამისოთაც.“ წინასწარ უნდა ვიფიქროთ, რომ ფინლიანდის ხალხი არც ერთს ამ ცვლილებათაგანს არ მიიღებს, რადგანაც ერთის მიღება ნიშნავს მეორის დათმობას, მესამესა და ასე ბოლომდის, ეს კი პარდაპირ თავის დაკლა იქნება. მართლაც, რას ნიშნავს საიმპერიო ხასიათის მნიშვნელობის კითხვები? ასეთი კითხვების აღსუსხვა მინდობილი აქვს მინისტრთა საბჭოს, ეს უკანასკნელი, იმედია, ამ აღსუსხვაში სიტუნწეს არ გამოიჩენს და აღარ დასტოვებს არც ერთ კითხვას. ამ მხრით ჩვენი მინისტრები დახელოვნებული არიან. „რაზიანენიები“ სენატისა და მინისტრების რუსეთის მოქალაქეს ნაგემარი აქვს, ახლა ფინლიანდელებს უნდა მოეპყრან იმავე საზომით. რომელიმე კითხვა თუ დარჩა არა საიმპერიო ხასიათის, მას მეტე სამ იენისის დეპარტამენტი გემოზე გაატარებენ. ამ ძალადობის შედეგი იქნება ავტონომიური ფინლიანდის რუსეთის უბრალო გუბერნიით გადაქცევა. ასეთია ამ ეამათ შავრაზმელების სურვილი, ამ გზას ადგია მთავრობა და შესაფერ კანონპროექტებს იმუშავებს და ამათ დამტკიცებას უნდა მოეგლოდეთ დემისგან. ჩვენ გვწამს, რომ ფინლიანდელები არაფერს არ დაუთმობენ, ისინი განურჩევლათ წოდებისა და პარტიისა ერთათ შეებრძოლებიან ამგვარ ძალ-მოძრეობას, მაგრამ მათი ძალა, საუბედლოთ, არ კმარა ძალ-მოძრეობის დასათრგუნველათ. ამისთვის საჭიროა სხვა ძალაც, მათი დამხმარე, ეს ძალა კი უნდა შვას თვით რუსეთმა. მხოლოდ ამ ძალასთან შეერთებული ფინლიანდელების ძალა მიადწევს სასურველ მიზანს.

ადგილობრივი პრესა

ჩვენს მცირე რიცხოვან პრესას კიდევ ერთი თანამოძმე შეეძინა. ეს არის ვაზეთი „ფონი“, რომელიც გამოდის ქუთაისში კვირაში ერთხელ.

ჩვენს დაკანონებულ დროში, როცა ყოველივე მაგარი მუხრუქით მოკერილი სულს ღვავს, როცა ყოველგან შავ ხელ ძალებს ვაუბამს თავისი მაცდური და გამცემი ქსელი, როცა სასაფლაოთ ქცეულ ცხოვრების ზედაპირზე თავისუფლათ, აღვირწახსნილი თარეზობენ ყოველგვარი „ძალათ მაცხენენი“, როცა ირგვლივ სამაისრებული სიწუმეა გამეფებული და „არსიდან ხმა, არსით ძახილი“ არ ისმის, ამ დუხპირ დროს, ახალი ორგანოს გამოცხადება, ერთ მეტ ხმას მათ წინააღმდეგ მიმართულს, ერთ მეტ მოძმეს, რომელიც შეთან ერთად მტერს ევეგებოდა—არ შეგვიძლია სხარაულით არ მივეგებოთ და დღევანდელია არ ვუსურვოთ, რასაკვირველია, რამდენათაც ეს ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენზე-თქო ვამბობთ, იმიტომ, რომ პრესის გზა არას დროს არ ყოფილა ია-ვარდით ფენილი და ეს მით უმეტეს დღეს, როცა ყოველი ცხოველი, გაბედული სიტყვა—მის უტყუარ სიკვდილის უდრის. ძნელი და ძნელზე უძნელესი ასეთ დროს პრესის მუშაობა და რამდენათ მეტი თანამგზავრი და კირის და ლხინის მოზიარე გყავს ასეთ პირობებში, იმდენათ უფრო ადვილი ხდება გზის გაყვავა იმ ულრან ტყეში, რომელსაც მსოფლიოს ეძახიან. ამ იმედით ახვლით არ შეგვიძლია, კიდევ ერთხელ არ ვუთხრობთ ახლათ შობილ „ფონს“: Добрый час!

„ფონი“ საინტერესოთ არის შედგენილი. მოწინავე წერილში ის ეხება დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, აღნიშნავს რეფორმის დაუწყინებლო შეზომების საჭიროებას და სამართლიანათ შენიშნავს, რომ განზრახული ფრთა-შეკვეცილი რეფორმები ვერც დაამკაყოფილებს ხალხს და არც არა გამოვია მათგან გარდა „ლამაზი სიტყვებისა“, რადგან მათი განხორციელება იმით ხელშია, ვისაც ამისთვის სულაც არ შესტკივა გული.

საჭიროა რეფორმების ფართო დაყენება—სწერს „ფონი“—ხალხის კენის ყურის გდება, მისი ტყველების ძირითადი მიზეზების აღნიშვნა და შესაფერი ზომების მიღება.

საჭირო დიდი ხანიაა, მაგრამ... ამავე ნომერში მოთავსებულია, სხვათა შორის, შენიშვნები შვეიცის მრეწველთა მომავალი კრების გამო, რომლის შინაარსს საეხებოთ ჩვენ, რასაკვირველია, არამც თუ ვიზიარებთ, პირიქით, მეგობრისაწინააღმდეგოც გვაქვს, მაგრამ დღევანდელ პირობებში უხერხულათ მიგვჩინა მისი გარჩევა და ოდესმე შემდეგ დავუბრუნდებით.

იქვე, ისევ განახლა გამოსვლა დროებით შეჩერებულმა ვაზეთმა „ვარსკვლავმა“. ვაზეთს შესაძლებლათ დაუნახავს, თითქმის ნახევარი ადგილი ისოს საპასუხო წერილებისათვის დაეთმო. თვით მოწინავე წერილიც კი, საპასუხო; თითქმის ამას ისეთი დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ქონდეს, რომ ყველამ ამაზე უნდა წეროს. ამ, ვითომდა მოწინავეში „ვარსკვლავი“ ჩანგსაც გამოიწვდა და მას ცალმხრივობაში სდებს ბრალს: ისოს სამი წერილი დაუბეჭდა და ჩვენ არც ერთი. „ვარსკვლავი“ ცდება და ძალიანაც ცდება, როცა მისი წერილების დაუსტამბელობას მიღგამ-მიკრძობებით ხსნის. ჩანგმა იმიტომ კი არ სთქვა უარი თქვამი წერილების დასტამბევაზე, რომ ის ისოს უდგებოდა, არამედ იმიტომ, რომ არც ერთი თქვენი წერილი არსებითად პასუხი არ იყო. ჩვენ გვიკვირს, რომ „ვარსკვლავის“ რედაქციის ისეთი წერილები საპასუხო წერილებათ მიანჩია. ეს წერილები ჩვენ ახლაც ხელთ გვაქვს და დანადვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც ერთი სერიალული ვაზეთი მის არ

დასტავებს. რაც შეეხება ზოგი ბრალდების მოხსნის მოთხოვნას, „ვარსკლავმა“ უნდა იცოდეს, რომ გახუთი ვერ დაბეჭდვას ყველა იმას, რაც ვინმეს პირზე მოადგება. თუ ამას შეიგნებს „ვარსკლავი“, მაშინ ჩვენდამი საყვედურსაც უსაფრთხოლოა ჩათვლის და თავის ფურცლებსაც არ დაუთმობს ყველა იმას, რაც ვინმეს მოხსნის და ენაზე მოადგება. შეუწყნარებელია გახუთის მთელ ნომერში ერთ და იმავე კაცის საბავსხობ წერა ყველა ის, რაც გულში გაიგოლის. ვაჭრის სხვა დანიშნულება აქვს და ამ დანიშნულების შესაგნებათ და მის სასამსახურათ ვიწვევთ ჩვენ „ვარსკლავსაც“.

დავითი

(პეტერბურგის დეპუტატი საკანტონოსაგან)
11 სექტემბერი.

ოსმალეთი

სალონიკი. დამის გაიხსნა „ერთობა-პროგრესი“-ს კონგრესი. კრებები დაბურულ კარებში ხდება.

რუმინი

ბელსინგფორსი. ფრიდრიხსგამის მშვიდობიან ხელშეკრულების ასი წლის სახლოვრათ გამართულ სადილზე გენერალმა ბეკმანმა სიტყვა წარმოთქვა. მან თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ფინლიანდია რუსეთთან შეერთების შემდეგ სწრაფათ წყვილად განვითარების გზაზე. ქვეყნის აყვავებას ხელს უწყობდა რუსეთის ხელშეწყობა მუდმივი შერწყმელობა. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სენატორმა ელტმა.

გროზნი. დამის ორ საათზე 30 კაცი-საგან შემდგარმა ბრბომ მოინდომა რკინის გზის კანის გაძარცვა, მოკლეს მამინისტი და დასჭრეს კანდუქტორი.

სკობლევი (ფერგანის ოლქი). გუშინ ომსკის სატელეგრაფო სასიგნოთა გამოყვანილი ტუსაღები თავს დაესხნენ ზედახედილს. მოკლეს ორი და დასჭრეს სამი. დარჩებულნი თოფები დაუშინეს. მოკლულია ცხრა ტუსაღი, დაჭრილი ცხრა. ერთი გაიქცა.

ვერხოტურე. მსწავლობელთა სიგელი გათავდა. სიგელმა დაადგინა გადასდონ მსწავლობელთა თავიანთი ჯამაგირიდან 5 პროც. მომავალ ზაფხულში საუკუნო-გაგო კურსების გასამართლებათ.

ალექსანდროვსკი. საერობო სავანგებო კრებამ დაადგინა გადასდონ დამწვარ

კრივოროგელისთვის 10,000 მანეთი დაუბრუნებლით. 55,000 მანეთი სესხათ ხუთი წლის ვადით და 20,000 მანეთი სესხათ საქონლის-საკვების შესაძენათ. ნაწილები საჩუქარი მიიღეს 77,000 მან.

ნაგოჩინსკი. გაიხსნა მებღაღობის გამოხერხება. —დაიწყო კომისიის კრებები ქალაქის თვითმართვლობის რეფორმის შესამუშავებლათ.

ეკატერინოსლავი. 7 სექტემბერს ტყეების გაცემის საჯარო ვაჭრობის დროს გაძარცვეს ვოლოსტის სამმართველო. დასჭრეს ტყის უფროსი და ორი დარაჯი.

პეტერბურგი. მოხდა ლუბის საბიუჯეტო კომისიის პირველი სხდომა. თავმჯდომარეობდა თავმჯდომარის ამხანაგი ოპოჩინინი 6 წყვერთავან მხოლოდ 41 გამოცხადდა. კომისიამ მოისმინა ხომიაკოვის მისალმების დებემა, რომელიც კლავის ავთიმუფობის გამო ვერ დაესწრო კრების გახსნას და ალექსანდროვსკი, რომელსაც საერობო არჩევნებში შეუშალეს ხელი. ცალკე უწყებების ხარჯთაღრიცხვები მიიღეს წევრ მომხსენებლებს. დაადგინეს დამჭარებით განიხილონ ბიუჯეტი.

მთავარმა სახელმწიფო სასამართლომ უყურადღებოთ დასტოვა ზაკასპისკის მსროლელთა ბათალიონის სალდათის საქმე, რომელსაც ალუშის დროს თოფის სროლისთვის და გენერალ მიშენკოს დაჭრისთვის დასჯარტა ქონდა გადაწყვეტილი.

სამოსამართლო პალატამ უყურადღებოთ დასტოვა პეტერბურგის საოლქო სასამართლოს ბრალმდებელის პროტესტი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც „რეგ“-ის რედაქტორი ხარტონი და ალექსანდრე სტაბოვიჩი გამართლებულ იქნა.

სენატმა უყურადღებოთ დასტოვა ეკატერინბურგის ს. დემოკრატიული პარტიის კომიტეტის ექვსი წევრის საკასაციო საჩივარი და გულდაუთის რესპუბლიკის საქმის შესახებ, რომელიც თფილისის სამოსამართლო პალატაში გაიჩინა.

ოსტროგოვსკი. სოფ. ოლხოვატკაში ბორატ-მომქმედებმა ამოხოცეს ვაჭარ ახტირის ოჯახობა.

პალატა. სატუსაღოში ჩასვეს, ცოლის უტყრათ ვარდაცვალების საქმის გამო ადგილობრივი მდიდარი ვაჭარი კოლესნიკოვი.

გერცენშტეინის მოკვლის საქმე.

კიუვენგაპე. 9 სექტემბერს ჩვენება ჩამოართვეს მოწმე შკიტნიკოვს, რომელიც განაცხადა, რომ 1906 წელს ზაფხულში წერილი მიიღო, რომელზედაც მოწმეობდა იყო „ხალხის გამკლავების კამარა“ და ამ წერილით მას მოკვლას ემუქრებოდნენ. ტერიოკში მას მოკვლა მოუწოდეს. ბუდევიჩმა დაამოწმა, რომ გერცენშტეინის მოკვლისათვის სასტუმროში გაჩნდნენ სატყუო პირები. დამცველების შუამდგომლობით შეეკითხნენ პეტრუშკინს და სირნოვს, რომლებმაც აწიგნეს, რომ პრუსაკოვმა, გორნოსტაევი-მა, დობნოვსკიმ, კონსაროვმა, ზორინმა და ვებერმა ვიდეო მიხილოვს ფულები შეაძლიეს, რომ „რუსთა კავშირის“ საწინააღმდეგო ჩვენება მიეცა. შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს პრუსაკოვს. მას თავის წინააღმდეგ ჩვენებაში შესწორება შეაქვს და თან არდგენს დებოვინის მიერ ბოძებულ მოწმობას, რომ ის კეთილ-სინდისიერათ ეპრობობდა კავშირის საქმეებს. მის საწინააღმდეგოთ იუსტიციის კრასკოვსკი ამტკიცებს, რომ პრუსაკოვის ჩვენება ყალბია, რადგან ის ცრუ და მატყუარაა. იუსტიციის სიტყვამ გამოიწვია რომანოვის შეკითხვა, რომელიც წინათ კავშირში იყო და გააძევეს. რომანოვი ამტკიცებს, რომ იუსტიციის ყუბმარებს ინაპირა. ამასვე იუსტიციის შეგზო რომანოვის პირაფენებს, დაახსიათა ის როგორც საზოგადო კაცი, ამასთანავე განაცხადა: ის ყუბმარები, რომლის შესახებაც რომანოვმა სთქვა, არტილერიის ყუბმარების ვარეთაქანი იყო, რომელიც მას სილამაზისთვის ეწყო. იმწმე ლარიკინი, რომელმაც იგივე სთქვა. ზარუნდის შეკითხვაზე იცის თუ არა რომანოვმა იღებდა იუსტიციის მონაწილეობას გერცენშტეინის მკვლელობაში—რომანოვმა სთქვა, არაო. სასამართლომ განაგრძო შეკითხვა.

პიატიგორსკი. კისლოვოდსკის ახლოს გაძარცვეს მეთრეტე. წაართვეს 12,000 მანეთი. გაჩერეს მატარებელი და გაიქცენ.

ხევსკოპოლი. პეტერბურგიდან მოსულ ფულის პარკში არ აღმოჩნდა 50 ათასი მანეთი.

იაროსლავლი. ჩაყარეს ქალაქის თეატრის საფუძველი. თეატრის აშენება ჯდება ორას-ოცდა ხუთი ათასი მანეთი.

მოსკოვი. ზენიგოროდის მახრის სო-

ფელ მარკში გაძარცვეს ეკლესია. წაიღეს ყველაფერი.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ შესაძლებლათ სერო წარედგინოს უმაღლესათ დასამტკიცებლათ წინადადება, მეცეს ნება ქალაქ ბაქოს ორი სააბლიგაციო სესხისა.

ხოლერა.

პეტერბურგი. ხოლერით ავით გახდა 40, მოკვდა 18, ავით არის 342.

მოსკოვი. ავით გახდა 4, მოკვდა 2.

ვლადივსტოკი. ავით გახდა 9.

კოსტრომა. ავით გახდა 7, მოკვდა 4.

არხანგელსკი. ავით გახდა 2, მოკვდა ერთი.

ეკატერინოსლავი.

გუბერნიამი ავით გახდა და მოკვდა 2, შეიაროვანში ავით გახდა 1, 7 სექტემბერს ეკატერინოსლავში ავით გახდა 2.

საზღარ-ბაბით.

ლონდონი. მოხდა ბექტეფი სიტყვის საერთაშორისო კონფერენციის უკანასკნელი სხდომა. კონფერენციის დღეგატები მეფემ ვინდსორში მიიწვია.

პარიზი. საზღრთ საფრანგეთის ზოგიერთ ადგილებში საშინელი სეტყვა მოვიდა. ზოგან მიწის ძეგა მოხდა და მდინარეები ნაპირებიდან გადმოვიდნენ. დაიხრო რამდენიმე ქალი.

ფრიდრიხსგავენ. „ცეპელინი მესამე“ დღის 9 საათსა და 40 წუთზე აეშვა ფრანკფურტში და 6 საათსა და 50 წუთზე მანკულში მიფრინდა.

ნიუ-იორკი. აქ მოსული ცნობებით პირი სინდინიდან ახალ შოტლანდიის, თავის სამშობლო, ქალაქმენში მივა, სადაც ჯერ-ჯერობით იცხოვრებს განკრძობებით სანამ კუკი თავის ანგარიშს არ წარუდგენს კომპანეის უნიფერსიტებს. პირი არაფერის თქმის არ აპირებს მის წინააღმდეგ. გარკი უაიტენის დამწერილი მიიღო თავის მისაგან 23 აგვისტოს, სადაც ის ამბობს, რომ შეხვდა კუკს ეტლში, გრენლანდიაში. კუკმა დიდებულ საქმე შეასრულა და დიდებულ სახელსაც მოიხვეჭს. ის ირწმუნება, რომ კუკი მიიღო ჩრდილოეთ პოლიუსზე.

ბირმინგემი. აუარეველი ხალხის წინაშე ბალფურმა სიტყვა წარმოთქვა. სიტყვის წარმოთქმის წინ აუსტინ ჩემბერლენმა წიკითხა მამის წერილი, რომელიც ეხლანდელ ბიუჯეტს თავისუფლ ვაჭრობის უკანასკნელ ცდას უწოდებს,

წარმოვიდგენ მას, ჩიბუხით პირში ქვაზე მოკუნტულს და ყრუთ დაეუბნებ—გამარჯობა ბაბუ!—ის ნამდვილათ გაკვირვებული მომავტრდება, თავს გადააქნევს და გაიმეორებს თავის საყვარელ ფრაზას: —„დიდება შენ დემერთო! რა ხდება ქვეყანაზე, რას არ მოიგონებენ ე, რუსებო“.

ვინ იცის, რამდენი იქნება მაშინაც ბაბუასთანა გულუბრყვილობა...

რუსებისა რა მოგახსენოთ, დეე ბაბუასთანა გულუბრყვილობებმა უყურონ მათ. მოწმეებით, მხოლოდ არ შეიძლება, თუ ცოტათ მინც კაცს უყვარს სიცოცხლე, უყვარს პროგრესი, გული შესტიკეც ცხოვრების ჯირ-გარაშე და ოცნებობს კარგ მომავალზე, არ ალუფრთოვანდეს იმედით გული და მოწმეებით თითქმის ავთიმუფური ცნობის მოყვარეობით არ ადგენოს თვალ-ყური ჰაერონავტიკის გინვითარებას ევროპის თანამედროვე დიდ სახელმწიფოებში.

დიდხანს შეჰყურებდა შურის თვლით ადამიანი ფრინველების ჩქარს და მსუბუქ ფრენას და უნებელით მოსლიდა თავში აზრათ, თითონაც აფრინილიყო როგორმე ჰაერში. 1783 წელს ეს აზრი პირველათ განახორციელეს მძათა მონგოლფიერებმა და ისეთი შარი ვაკეთეს, რომელიც მალა-მალა იწვედა და ადიოდა ჰაერში, ამის შემდეგ ეგონათ, რომ ადვილია, არამც თუ ჰაერში აწვეა, არამედ თავისუფლათ და დამოუკიდებლათ სიარულიც სივრცეშიო; თუ ჰაერისტატი დაშორდა მიწას და აიწია ჰაერში, მაშინა-დამე, იმის წაყვან-წამოყვანაც შეიძლება—იმედოვნებდნენ მაშინ; მაგრამ იმედი არ გაუმართლათ. მიხეზი ის იყო, რომ ჰაერით გაბერილ შარს არა ჰქონდა ისეთი ტენიკურათ შემუშავებული მამოძრავებელი ჩაღბი, რომელიც მისცემდა ჰაეროსტატს ამა თუ იმ მიმართულებას, მხოლოდ მე-XX-ე საუკუნეში ტენიკის განვითარებასთან და მამოძრავებელი ჩაღბის გამოგონებასთან იხსნება ამოცანა.

ჯერ კიდევ 1885 წელს ლონდონში ვიდაც შარლ რენარმა მოაწყო ისეთი

ჩაღბი, რომელსაც მიჰყავდა შარი 6 ნახევარი მეტრი წამში. მაგრამ საჭარისი არ იყო, რომ შარი მოძრაობდა ჩაღბის შემწეობით, საჭირო იყო კიდევ რომ მას შესძლებოდა გამკლავებოდა ჰაერს ანუ ქარს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან თავზე ხელ-აღებული თუ გაფრინდებოდა მით, რადგან ადვილათ შეიძლებოდა, რომ შარი თავდაყირა გადაბრუნებულიყო და ათასი სხვა უბედურება დამართოდა; მაგრამ ადამიანი ხომ მოუსვენარია, რაკი მიაკვლევს რასმე არ მოისვენებს მანამდის, სანამ ან სულ არ დალუბავს აკვლელ საგანს ან გართულების უმაღლეს წერტილამდის არ მიიყვანს. აქაც ბევრი ეცადეს რომ, აეშორებინათ შარისთვის ეს ნაკლი და აი, მას მისცეს სივარის ანუ თევზის ფორმა, რომლითაც შეუძლებელი გახადეს იმისი გადატრიალება თავდაყირა, მაგრამ ამ შესწორებამაც ვერ უშველა საქმეს. თუ თავდაყირა აღარ ტრიალობდა შარი, საზაგიერთო, ზედმეტი ვაზ-ჰაერით გაედენთილი ხან სქედებოდა მოულოდნელათ, ხან კი სულაც არა ჰყოფნიდა ჰაერში შინათ და ღონე მიხილი ნელა ძირს ეშვებოდა. საჭირო იყო ამის ასაცილებელი საშუალება და გამოგონეს კიდევ ისეთი ვენტრილატორი ანუ როგორც დაარქვეს მაშინ „მალლონეტი“ რომლითაც ზედმეტი ჰაერი გამოყავდა და დაკლებისთანავე კი უშვებდა, მაგრამ ახლა მალლონეტით შეტანილი ჰაერი შარის ერთ მხარეს აწვევდა და ფორმას უკარგავდა, თან გვერდზე ხრიდა. არც ზედაყირა ხერხს, ხშირათ მისიგან ვახურებული თხელი კანი შარისა იქიმებოდა და სქედებოდა. კაცობრიობა მოუთმენლათ ელოდა უკანასკნელ გამარჯვებულ ცდას ჰაეროსტატის გართულებაში,—და ისე ცდა დიდს პაფოსით დაავიკრინა, აწ უკვე სახელ ვანტქულუმ ცეპელინი, რომლის ჰაეროსტატი, უკეთ რომ ვთქვათ, დირიებალი თავისუფლათ დაფრინავს ახლი გემინიის საზღვრებში.

როგორც ვიცით, მფრინავი აპარატები ორგანოა: ერთი ჰაერზე მსუბუქია,

გამონახოს რამე ტარიფის რეფორმის ნაცვლათ. თავის სიტყვაში ბალფურმა აღნიშნა, რომ ხარჯების მოკლებამ და შემოსავლის გადღების საჭიროებამ უნდა დაარწმუნოს ყველანი, რომ ვისკალური სისტემის შექმნა—საჭიროა ქრისტიანის ღირებების დიპლომა, რომ სიღარიბეს სიმდიდრის მოსპობა ვერ გააქრობს. ძველმა ვისკალურმა სისტემამ თავისი დრო მოკამა. ქვეყანამ ორ სტემაში ერთი უნდა აირჩიოს: ან უნდა აირჩიოს წინ ნაბიჯის გადაღება, რაკი სატარიფო სისტემის რეფორმაში გამოიხატება, ან და უკან გადადგას ნაბიჯი, სოციალურ კანონმდებლობისაკენ, რომელიც უძირო უფსკრულთან მიიყვანს.

უკანასკნელი ფოსტა

საპარსეთი.

ექს-შახის თიერანიდან გამოხვდა. 26 აგვისტოს ზერგენდემი მივიდა დეშუბატკია, რომელშიაც, სხვათა შორის, შედიან რუსეთის და ინგლისის წარმომადგენლები. დეშუბატკიამ მაშომედ აღის ხელი მოაწერა ოქმზე, რომლის ძალითაც მას (შახს) ორი დღის განმავლობაში უნდა დეტოვებოდა რუსეთის მისია და აღესაში უნდა გამეზღვრებულიყო.

ორი დღით ადრე მაშომედ-ალიმ მიიღო დანიშნული ჯამაგირის ერთი მესამედი—25 ათასი თუმანი, რომელიც მას რუსეთის მისიამ ჩააბარა. ამის შესახებ ცალკე ოქმი შეადგინეს. 27 აგვისტოს, დანიშნულ ვადაზე ერთი დღით ადრე, შახმა დასტოვა რუსეთის ელჩის სახლი, სადაც ის 5 წლის განმავლობაში სცხოვრობდა და ზერგენდემს გავიდა. შახს თან ახლდნენ: ცლილი, სამი მცარეწლოვანი ბავშვი და 20-მდე მოსამსახურე დაახლოვებული პირები.

ზერგენდეს საზღვრებამდე შახი რუსეთის და ინგლისის წარმომადგენლებმა მიაცილეს საპარსო კონვოის თანხლებით, რომელიც 30 რუსი კახაისაგან, 6 ინგლისელი სიზიასაგან (ჯარის-კაცია), სპარსელი კახაისაგან შტაბს-კაპიტან ზაპოლსკის უფროსობით და დამცველი რაშისიგან, რომელიც 120 ცხენოსანი ჯარის-კაცისაგან მსდგებოდა როტმისტრ გრიგორი-ბარსკის უფროსობით. ეს უკანასკნელი შახს მიაცილეს სპარსეთის

25 წლის დღესასწაულს კი უძვირფასესი საჩუქარი მიართვა ფრანგმა ბლერიომ, რომელმაც თავის გადაფრენით ლამანზე თირქოს დაასრულა პირველი პერიოდი ჰაერონავტიკისა.

როგორც ყოველთვის, ყოველ საყა-ცობრო წინმსვლელობის დარგში, ესლაც ამ საქმეში მოწინავეთ გამოვიდა საფრანგეთი და ქვეყნირების დაუტკიცო, რომ იგი ის საფრანგეთია, რომელიც დინჯათ, იმედინათ მიუძღვის კაცობრიობას, ამ ხელათ კი ჰაერში საფრენით განსხვავებული ხალხი და სხებლმწიფოები ამერიკა და გერმანია. ამერიკელებისათვის ჰაერონავტიკა სარგებლობა ნესტატიაა, სადაც შეიძლება მილიონ-დები დატრიალებს; როგორც ნამდვილი ძლიერი ბურჰაზიული რესპუბლიკა, იგი ვაჭრული თვალსაზრისით უყურებს ყველაფერს და მილიონერთა ტრესტები უკვე ხუნით ვეჭვენ შემთხვევას, რომ ხელში ჩაიგდონ და ექსპლოატაცია გაუწიონ ახალ გამოგონილ მანქანებს.

სულ სხვაა გემინელების სურვილი (რასაკვირველია, მძარეველნი წრეების) იგი ჯერ კიდევ როგორც ნახევრათ ფეოდალური არისტოკრატიული მონარქია, მუდმივ მილიტარიზმით გატაცებული, რასაკვირველია, სამხედრო ძალის გამძლიერებას სცდილობს და ცეპელინის გენიოსური ნაშრომიც უნდა ამ მხრით გამოიყენოს.

მხოლოდ საფრანგეთია მარტო გულწრფელათ და უანგაროთ გატაცებული ჰაერზე გამარჯვებით. იმისი საუკეთესო შეიღნი მხოლოდ საკაცობრიო იდეალით გამსჭვალულნი, პროგრესისთვის თავგანწირულია, ერთმანეთს ეჯიბრებიან პირველობაში.

მთელი დედამიწის ერთ სანტრესო კუთხის წარმომადგენს ესლა რემისი—საფრანგეთში, სადაც აერში მფრინავთა სპორტია მოწყობილია.

გაიხედვე თურმე ჰაერში მისრიალებს შურდულით მთელი გროვა ჰაერობლანებისა, ეს ახალი უზარ-მაზარი ფრინე-

საზღვარზე მდებარე პორტ ენსელამდე. მანის ზურგენდენ ვასატილიშვილი მოვიდნენ აგრეთვე მისი ერთგული მოსამსახურენი და ნაცნობნი, რომელნიც სტიროლოდენ და მუხარბების ნიშნით მკერდში მუჭის იკმდენ. საპრეტის მთავრობა ამ გამოთხოვების ცერემონიას არ დასწრებია.

თითხმეტი ეტლით და ათი დატვირთული ფურგონით შახის ამაღლა ზურგენდენს მარაბადდის 4 საათზე გამოვიდა და დამა მორაბადდისკენ გაემართა, რომელიც ათი ვერსის მანძილზე სატახტო ქალაქიდან. მორაბადდში დანიშნული იყო დასვენება. ამ ადგილს შახი ღამით მივიდა, სადაც მას უმცროსი ძმა შოაეს-სალოთან მიეგება. ის შოაეს-სალოთან ერთად დასაძინებელი ტახტზე ცალმედიან-სახელმწიფო წეს-წყობილების შეცვლის შემდეგ ის ოსმალეთში გაიქცა და ოსმალეთის ქვეშევრდომობა მიიღო. უკანასკნელ ხანებში ის ისევ შეურდობა თავის უფროს ძმას და ახლა მის ვასალეობაშია მოვიდა.

შახის მოგზაურობა დაახლოებით 18 დღეს გაგრძელდება. საზღვრებამდე მამო-დენე-ალის რუსეთის და ინგლისის მისიის მოხსენებები—ნეკრასოვი და კოუნეი ეხსენებებიან.

შახის წამოსვლა თეირანში ისეთი არაჩვეულებრივი შემთხვევით აღნიშნეს, რასაც აგერ 20 წელიწადია, რაც ადგილი აღარ ქონია. ღამით, 27 აგვისტოს ქარვასლა ამირეში გაჩნდა ცეცხლი, რომელშიც 48 ვაჭარო სახლი გაანადგურა. პირობები, რომელშიც ცეცხლის გაჩენა მომხდარა, აშკარათ მოწყობილი, რომ ცეცხლი განზრახ არის გაჩენილი. ქალაქში გავრცელებული ხმები ამ ცეცხლის მიზეზით შახის მომხრეთა პარტიას ასახელებს, რომელსაც ამით სურდა უწყისობა მოეხდინა და სახალხო მანიფესტაცია გაემართა მამოედ-ალის სპარსეთიდან გასვლის გამო. (თ. ფ. ა.).

რუსეთი

კავშირების შეურაცხყოფა მიტოპოლიტისადან. რუსთა კავშირის წევრებს დღე და ღამე მოსვენება არა აქვთ და იმაზე ზრუნავენ, თუ როგორ დავიხსნათ დუბროვნი შეურაცხყოფისაგან და ფინლიანდის სასამართლოში არ გაგზავნათ. ამ მიზნით, სხვათა შორის, მიტოპოლიტი ანტონის განსაკუთრებული დღეულობა იკეთებენ, ვეცდებიან...

ბერლინიში, ჰაერში ფრინველის მონტერესეთა ერთ ერთ კრებაზე წაიკითხეს რეფერატი.

რეფერენტი შემდეგ ტემაზე ილაპარაკა: „ბუნება ადამიანის გრძობაში ჰაერის დამონებამდის და მას შემდეგ“. მოვიყვანოთ რეფერატიდან რამდენიმე დამახასიათებელი დებულება.

განა შეიძლება ვილაპარაკოთ მფრინავ ადამიანისაგან ჰაერის დამონებზე, რომელსაც გამოარჩევდა მან, გამოდინარეობს პირდაპირი დიდი ხნის ცნობილ და დამტკიცებულ ფიზიკურ კანონებიდან, რომლის ფორმულა ამბობს: ტანს შეუძლია შეუფერხებლათ იმყოფებოდეს ჰაერში?

ადამიანის მოვლემას შეადგენდა მხოლოდ გაფრთხილები—ბუნებისაგან მიცემული მატერიალური ფორმულა, წაება მისი ცხელი მაგალითებისათვის, ისეთი თავისუფლათ მოსრიდევ ფრინველებისა და მწერებისათვის—და მონამ ბუნებისამ, მან, შეასრულა ამანიათ სტიქისაგან ნაქარნახევი დანიშნულება.

გომდე უმაღლეს წრეებში იქნებ ჩვენი თავმჯდომარის შესახებ სასამართლოში საქმე მოასპობითო. დეპუტატებს ბედმა უმტყუნა. მიტოპოლიტმა არა თუ დახმარება არ აღუთქვა, მოსლაპარაკებლათაც არ მიიღო ისინი და არქიმანდრიტის პირით შეუთვალა: სუსტათ გახლავარ და ვერ გინახულეთათო. ამავე დროს კი სხვა მოხუცელები მიუღია.

რა დაჯდება პეტერბურგის პოლიციის შენახვა 1910 წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოანგარიშებით 1910 წ-ში პეტერბურგის პოლიციის შესახებ საჰირო იქნება 3,495,436 მან. აქედან მარტო მამებარი პოლიციის შენახვა დაჯდება 1,58,010 მან.

ენარელების გუნდის პეტერბურგადან. პეტერბურგის პოლიციამ განკარგულება მიიღო 24 საათში გაწმინდონ ქალაქი იმ ებრელ-ბებია ქალებისაგან და კილის ექიმისაგან, რომელნიც საავთმყოფოებში და სამკურნალოებში არ მუშაობენ. ამ განკარგულებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ბ. ბულაცილის კანდალატორა დუმიანი. ბ. ბულაცილის საბოლოოთ ვერ გადაწყვეტილა წამოაყენოს თავისი კანდალატორა სათათბიროს წევრის არჩევნებზე პეტერბურგში—თუ არა. კავშირის წევრებს გადაუწყვეტიათ დეპუტატის პირით სისხოვონ ბულაცილს უსათუოთ დთანხმდეს სატახტო ქალაქის წარმომადგენლობაზე დუმიანი. საზოგადოთ, რუს. კავ. წევრები ძალიან დანიტერესებულნი არიან მომავალი არჩევნებით. მათ საარჩევნო მომზადება უყვე დაიწყეს. ადგენენ და სკემენ ყოველგვარი შინაარსის ფურცლებს. არჩევნების დღეს მათ გადაუწყვეტიათ მთელ თავიანთ ძალას თავი მოუყარონ პეტერბურგის მხარეზე, რომელიც მათ, რაღაც მოსაზრებით, „თავისათ“ მიაჩნიათ.

ბალტიის მხრის კონსტ. პარტიის მოგზაურობა. ბალტიის მხრის კონსტიტუციონური პარტია 17 ოქტომბრის კავშირს შეუერთდა და დაადგინა დღევანდები გაგზავნოს მომავალ ოქტომბრისკენ სივლზე. ეს შეერთება ბარონ შეინდორფის მეცლიანობით მომხდარა.

მუშათა მოძრაობა. უკანასკნელ 4—5 თვის განმავლობაში ცენტრალურ სამრეწველო რაიონის სხვა და სხვა ადგილებში გაფრთხილებული შეუწყვეტლათ ბილი სხვადასხვა ზღვის ცხოველებით საგვ ავარიუმში არ ნიშნავს ზღვის გამოცნობა.

კულტურა ამხინჯებს ადამიანის გემოვნებს და არჩევებს ზღვას—ავარიუმს, ჩანჩქარს—ფანტანს, არწივს—დირიც-ბალს იგი დღიდან-დღე ხოცავს დედა-მიწის პირიდან ბუნებას, სხვადასხვა საშენებელი მასალებით: იგი ჰკაფავს ტყეებს და მყუდრო სახლის ბუხრები უფრო მხიარულათ გუგუნებენ; საშინელი კინობიანი მანქანებით ანგრევენ და ატიტვლებს ფაქიში ჰაერით გაფრთხილ მთის ბილიკებს და სწორეთ ისე, როგორც ნაყოფიერ დედამიწის მოაგებენ ქვაფენილით, ისე ჯგუფი ჰაერობლანებისა და ფარავს ცას.

კულტურის უშველებელ ალტკინებულ გენიაში იწვევთ კეკლუცათ ამწვანებული დედამიწა. ინთქება მოკრიბებული ცა; დედამიწის ბევრი ბუნებრივი მხარე უკვე უცნობია ქალაქში მცხოვრებთათვის, მალე იგი ღია ცის ფერსაც დაიგწყებს.

რამდენათ უფრო განვითარდება ჰაერობლანთა, იმდენათ უფრო ფართეთ გაიფაფებინ ჰაერში რკინის ფრთები მფრინავი მანქანებისა და დაფარვენ ჩვენი მხედველობიდან საუკეთესო ფურცლებს ვარსკვლავებიან ღამის წივებისას.

აქამდის ნახი, ქალწულებრივი საოცნებო ცის კიდური გაიგება სხვადასხვა სისტემის მფრინავი მანქანებით, ისე, როგორც წყალი გემებით.

როგორც წყალზე და ტყეში, ჰაერშიც იქნება სასტუმროები.

სუნ, ოკეანებზე გამოცხადებული სივარებისა—გაჩნდება ღრუბელთ საშფოშია.

მზრწინავ ვარსკვლავთა მეოხებით—სუფეგს მადლიანი ლირიკა, პოეტის მთელი აზროვნება კულტურა ვარსკვლავთა მხედველობიდან დაფარვით, სრულიად მოსპობს ლირიკას. პოეტები ან სულ აღარ დიბადლებიან ან და დაბურ-დვლებიან მოლაკლავ პრაზაიკებათ.

დემონს შექმლო მოეხიბლა თამარის გული იმიტომ, რომ იგი არ მოფრინავ-

მალკ. ლიხაოვის დანიშნა. მამომედ ალის ადესაში მოსვლისათანავე, იქ გაიგზავნება პოლკოვნიკი ლიხაოვი, რომელიც უახახთა ბრიგადის უფროსი იყო სპარსეთში. პოლკ. ლიხაოვი შახთან დარჩება მანადის, სანამ შახი რუსეთის საზღვრებში იცხოვრებს.

საზღვარ-პარტი
შეითხვა რუსეთის საზღვარებზე. ინგლისში. ინგლისის სათემო პალატაში დეპუტატმა დილომა შეითხვა შეიტანა: მიაქცია თუ არა ყურადღება გარეშე საქმეთა მინისტრმა იმ ველურ სისასტიკეს, რომელსაც რუსეთის სატუსლოებში იჩენენ დატყვევებულთაძენ? რატომ არ სცნობენ შესაძლებლათ ინგ. მთავრობა და სერ ედუარდ გრეი (მინისტრია), რომ თავიანთი აზრი გამოსთქვან სხვა სახელმწიფოთა შინაურ პოლიტიკის შესახებ? სხვა სახელმწიფოებმა ხომ გამოსთქვეს თავიანთი აზრი მარკოს სულთანის, მუღღი ვაფიდის ტუსალებისადმი სასტიკი მოპყრობის შესახებ; რას იტყვის ამაზე მინისტრი? მინისტრმა დეპუტატს სიტყვა ბანზე აუგლო და ასე უპასუხა: შეუძლებელია რუსეთისა და მარკოს შედარება ერთმანეთთან, მუღღი-ვაფიდი აუწყრულ სისასტიკეს იჩენდაო.

ახალი სისტემის უმბარა. ბირმინგამში (ინგლისში) მომხდარ მიტინგზე ქალთა თავისუფლების ლიგამ დაადგინა, აირჩიოს რამოდენიმე წევრი თავის წრიდან, რომელიც ასევე უთვალ-თვალედ და ძალათ მიაჩნებენ ხელში წინდაწინე შეუძლებელ პეტეციას.—ამას წინათ ერთმა სუფრაჟისტამ ფანჯრიდან შენახან საქმეთა მინისტრს, გლადსტონს შეშის სხვილი ნაკოდალი ესროლა, მაგრამ დააცლო. მინისტრმა ნაკოდალი აიღო და სათემო პალატაში მიიტანა. ნაკოდალზე დაწერილი იყო: „ყუბარა“.

ყოფილი მინისტრი პროვოკაციის შესახებ რუსეთში. „მატრეში“ მოთავსებულია ინტერვიუ ერთ რუსეთის „ყოფილი მინისტრთან“ პროვოკაციის შესახებ რუსეთში ვიტეს კაბინეტის დროს. აი რა უთქვამს „ყოფილი მინისტრს“ „მატრის“ თანამშრომლისათვის:

1905 წ. ოქტომბერში მთავრობის მდომარეობა ძალიან ცუდი იყო. ომის შემდეგ რამზოცია ფართათ განზარდა. უკმაყოფილოთა წრეში გადავიდნენ მშვილამიანი—სალი ელემენტებიც. რა უნდა და მასთან ჰაერობლანით; ჰაერობლანის მხარეთელ დემონი ვერ მოახდენდა თამარზე ვერაფერი შეთხვეტილებას.

აერობლანების განვითარება გააქარწყლებს, ჩვენი სახის დაფიქრებულ გამოშეტველებას და ადამიანის თვალთა სილამაზე მომხიბლობა დაიკარგება საუკუნოთ.

ჩვენ დავსახიზრდებით შთამომავლობით, რადგანაც ჩვენი სულიერი განწყობილება აღარ იქნება დამოკიდებული წმინდა, უმწიკლო ვარსკვლავთ ციგისაგან, ჩვენი აზრებიც არ იქნებიან განცხოველებული მთავან გამოკრთალი განთიადის ბრძული სიგრილისაგან.

ასეთია მოკლეთ რეფერატის შინაარსი.

კულტურა რომ ანგრეც და სპოზს, მისტიციზმით გაფრთხილ, გრძობებზე დამყარებულ პატრიარქალურ დამოკიდებულებას ადამიანთა შორის, კულტურა რომ ასხვაფერებს კაცს ფიზიკურათ, რომ ბევრი ცვლილება შეაქვს ბუნებაში, ეს უკვე ბევრისათვის საანზარო ქეშმარტიუბაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კულტურა მხოლოდ მანებელი იყოს, იგი თუ ერთ რამეში ანებს კაცობრიობას, ხუთი და ათი იმდენი სასრებელი მოაქვს. რას ეტყოდით, ბატონებო, იმ გლეხს, რომელიც გეუბნებთ—ნუ გამოგაყავთ ჩვენ სოფელში რკინის გზა, არ გვიანდა. მართალია, ჩვენ ოცი კომლი გლეხი ღარიბათ, გაქირებულათ ვცხოვრობთ, მაგრამ მაგიერთ ერთმანეთის სიყვარულში, გამტანლობაში, მყუდროთ, პატრიონათ ვცხოვრობთ, ნუ შემოიყვანთ რკინის გზას, ეც ვაგვრყენის მთელ სოფელს სულით და ხორციოთა. არ ეტყოდით და სიმათლევ იქნებოდა, მაგრამ გლეხიც იქნება თავის მხრით მართალი, ის გრძობს ინსტიტიუთათ, რომ რკინის გზასთან შესული განახლება, სულ განაქრწყლებს პატრიარქალურ კავშირს სოფლისას, ძველ ჩვეულებზე გადახლარათულ სულის განწყობილებას და შეიტანს არაჩვეულებრივ მოძრაობას, რა-

ქნა მთავრობას? მაშინ ვიტყვ გადასწყვიტა, შემარცხენე ელემენტები უკოდურსობაში გადაჩეხა და ამით საზოგადოების თვალში მათთვის სახელი გაეცხება. ამ მიზნით ვიტყვ შენახან საქმეთა მინისტრათ დურნოლო დანიშნა. დაიწყეს კონტრ-რევოლუციონი მამოქოთ.

შვიდლობიან პარტიების გაჩენით მთავრობამ ისარგებლა და კონსტიტუციონური წყობილება შემოიღო.

იგივე თანამშრომელი ბურკეტთან ყოფილა და მისთვისაც გადაუცია „ყოფილი მინისტრის“ ნაღაპარაკევი. ბურკეტს „ყოფილი-მინისტრის“ ნაღაპარაკევი სინამდვილეთ უცვნია და დაუმატებია, რომ პროვოკაციას მართლაც ქონდა მიზნით რევოლუციონერების სახელის გატეხვა და რეპრესიების შემოღების გაადვილებათ.

ისპანიის რედაქტორები და კაროლი. სან-სებასტიონში უკვე მისულა დეპუტატთა ლიბერალურ გაზეთების რედაქტორებისა. დეპუტატის მიზნით აქეს იშუამდგომლოს კაროლიან, გაუქმებულ იქნას ადმინისტრაციის თვითნებობა გაზეთების გამოცემის საქმეში. ადმინისტრაციის თურმე ტელეფონით აძლებს რედაქტორებს მძინებას, რისი გაშვება შეიძლება გაზეთში და რისი არა. გაზეთ მწერალი—ს რედაქტორს, მაგ., პოლიტიკამ ტელეფონით აცნობა, რომ მონახევი წერილის შინაური კრიზისის შესახებ იმ შემთხვევაში გაუშვებთ, თუ კონტრტურულ ფურცელს წინდაწინე წინაგან საქმეთა მინისტრს გააქვებია. რედაქტორმა ეს შეუძლებლათ დაინახა და გაზეთის დახურვის შიშით გამოცემა შეაჩერა...

არეზიდენტი და გაროდგოვი. ამას წინათ ამერეთის შტატების მწვავენიტ ტაფეთ ავტომობილით სიქვართ სსაქობნათ მიქრდა. უგვრათ ავტომობილი ქუჩაშია გაროდგოვიამ ქანჩენ თქმის შესადგენათ. აქვე უფლებას ან გაჭეუტ სსათმა ათ მიღზე შეტე გაანათათ, თქვენ კი 20 მიღზე შეტე გაანათათ და ეს კი კანონს დარღვევა ანათა აუნსნ „გაროდგოვიამ“. რაღაც ტაფეთა განახლდა; რამ ეს მწვავენიტა, „გაროდგოვიამ“ უპასუხა: მართლათ თქვენ განხინ დახრდეათ, მაგამ შე ვგაჭრებ, შე არ მსქეს ნება მწვავენიტის დატყვევების. ტაფეთ რამდენიმე აქვანთან სიტყვა უპსნა „გაროდგოვის“ და თავისი გზა განახრდა.

მელსაც ერთბაშით ვერ აპყვება იგი და ზიზილი დაუწყებს ყურებში. იმას კი ვერ ითვალისწინებს ის, რომ რკინის გზასთან მოპყვება შედარებით სიმდიდრე, ერთი-ათად გაუადვილებს ცხოვრება და თუ თითონ ვერ შეეთვისა მას, შეეთვინება და კიდევ გამოიყენებს მისი შთამომავლობა.

ნუ თუ იმიტომ, რომ ქუჩებში ბუნების სუნით გაფრთხილთ ბოლოს უშვებს ავტომობილი, უნდა მოვსპოთ იგი?.. ნუ თუ იმიტომ, რომ ცოტა ენება შეაქვს კულტურას ბუნებაში უნდა უარყვიოთ, შეგაფერხოთ იგი?.. განა ათას წლით უკეთესი არ არის, მთელი თავის აზროვნებით ეცადოს კაცობრიობა მოსპოს თვით ბოლი და არა ავტომობილი? ან ისეთ ფარგლებში მოაქციოს, რომ ჰაერის მოწყვება არ შეუძლოს?..

განა უკეთესი არ არის, რომ ყოველ კულტურულ მოვლენას ასეთივე ანალიზი გაუკეთოს, რომ არ გემუდებოდეს ბუნება და მუდამ შეგხაროდეთ ამომავალი მზის სხივებს?..

შესძლებს თუ არ ამას კაცობრიობა, ეს სხვა კითხვაა. მხოლოდ კულტურას უარყოფა და მის წინააღმდეგ ბრძოლა ეს ისეთი უგუნურებაა, რომელსაც არავითარი გასამართლებელი საბუთი არ აქვს. ადამიანის ფსიხოლოგია ცნობის მოყვარობით არის სავსე, ის მიიღობის საიდუმლოებისკენ, უნდა გამოიწვოს და გვიგოს ყველაფერი, შექმნას არა ჩვეულებრივი რამე, დაიპყრას სამყარო. ეს უძვირფასესი მისწრაფება რადიკალიზაციაა, მისწრაფება მისკენ არა ჩვეთვის საიდუმლოებით მოკულია—ქმნის პროგრესს, კულტურას. თუ პროგრესი, კულტურა უნდა მოსისპოს, უნდა მოსისპოს მისწრაფება, მისიზობა თვით ცხოვრების აზროც და სრულიად უშინდელი და უშინაარსო გახდება.

ამ რიგათ, ჰაერში გზა უკვე გაიკვილის. ამას მოპყვება მისი დამონება, დაყრობა და კაცობრიობა იმდენათ განიედაც შორის მომავლისაკენ, იმ მომავლისკენ, რომლისაკენ ასე გაშვებულ და თავდავიწყებით მიღობიან მსოფლიოს საუკეთესო შვილი.

სანი. ლახჯანიძე.

